

საქართველოს გარემოს დაცვისა და  
სოფლის მეურნეობის სამინისტროს  
სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

ი/მ გია მიქაუტაძე  
(ს/კ 60001031589)

### სკრინინგის განცხადება

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის N21/4824 წერილის შესაბამისად წარმოგიდგენთ ქ. ქუთაისის, სულხან-საბას ქ. N8-ში განთავსებული ი/მ გია მიქაუტაძის (ს/კ 60001031589) პლასტმასის ნაკეთობათა დამაზადებელი საწარმოს სკრინინგის ანგარიშს sph - ფაილებთან ერთად .

გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება საწარმოს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დანართი; სკრინინგის განაცხადი 1 ეგზემპლარად და დოკუმენტის ელექტრონული ვერსია.

პატივისცემით,

ი/მ გია მიქაუტაძე

07.10.2022 წელი



ი/მ გია მიქაუტაძე

ქ. ქუთაისი, სულხან - საბას ქ. N 8

პლასტმასის ნაკეთობათა დამამზადებელი საწარმოს  
სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი :

შპს „ელსჰაუსი“

დირექტორი ზ.კვაბიძე

ტელ: 591 97 50 90



დამკვეთი:

ი/მ გია მიქაუტაძე

ს/კ 60001031589

ტელ: 568 88 11 96

A handwritten signature in black ink, appearing to be "G. Mikautadze".

## შინაარსი

1. შესავალი \_\_\_\_\_ გვ. 3
2. 1. ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ ცხრილი \_\_\_\_\_ გვ.4
3. 2. საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა \_\_\_\_\_ გვ.5
4. 3. პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ტექნიკური მაჩვენებლები და ტექნოლოგიური აღწერა \_\_\_\_\_ გვ.6-7
5. 4. საწარმოს ნედლეულით მომარაგება \_\_\_\_\_ გვ.7-8
6. 5. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა \_\_\_\_\_ გვ.8-9
7. 6. საწარმოს წყალმომარაგება, კანალიზაცია და ჩამდინარე წყლები \_\_\_\_\_ გვ.9
8. 7. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე შესაძლო ზემოქმედება \_\_\_\_\_ გვ.10
9. 7.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე \_\_\_\_\_ გვ.10-14
10. 7.2 ხმაურის გავრცელება და ზემოქმედება \_\_\_\_\_ გვ. 14-15
11. 7.3 ნიადაგის, გრუნტის, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკები- გვ.15-16
12. 7.4 ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება \_\_\_\_\_ გვ. 16
13. 7.5. ნარჩენების წარმოქმნის და მართვის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება, ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები \_\_\_\_\_ გვ. 16-17
14. 7.6 ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე \_\_\_\_\_ გვ. 17
15. 7.7 კუმულაციური ზემოქმედება \_\_\_\_\_ გვ. 18
16. 8. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება \_\_\_\_\_ გვ. 19

დანართი:

- ამონაწერი სამეწარმეო და საჯარო რეესტრიდან
- სურათი N1
- გენ-გეგმა
- ხელშეკრულება და ცნობა

## შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ქ. ქუთაისის, სულხან-საბას ქ. N8-ში განთავსებული ი/მ გია მიქაუტაძის (ს/კ 60001031589) პლასტმასის ნაკეთობათა დამაზადებელი საწარმოს სკრინინგის ანგარიშს.

ი/მ გია მიქაუტაძის დაგეგმილი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მეორადი პლასტმასის გადამუშავება და საყოფაცხოვრებო დანიშნულების პლასტმასის ნივთების (სათლი, ვარცლი) დამზადება.

ამჟამად საწარმო არ ფუქნციონირებს და შეჩერებული აქვს საქმიანობა.

საწარმო ნედლეულად იყენებს პლასტმასის ნარჩენების გადამუშავების (ნარჩენების აღდგენა) შედეგად მიღებულ პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ე.წ. „ჩიფსებს“.

საწარმოში ხდება სხვა და სხვა სახის პლასტმასის (პოლიეთილენის) ნარჩენების გადამუშავება (ნარჩენების აღდგენა) მეორადი ნედლეული მასალის (პლასტმასის ე.წ. ჩიფსების) მიღების მიზნით (აღდგენის კოდი R3) და პლასტმასის ნარჩენების გადამუშავებით მიღებული პლასტმასის „ჩიფსებისაგან“ სხვა და სხვა ნაკეთობების დამზადება.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“-ს II დანართის 10.3 პუნქტის თანახმად „ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასაწარი დამუშავებისა“ მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას.

იმის გათვალისწინებით რომ აღნიშნული საქმიანობა საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 10.3 პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობაა, იმავე კოდექსის მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას, ამის გათვალისწინებით გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა სკრინინგის ანგარიში.

1.ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში

ცხრილი N1

ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების შესახებ	
საქმიანობისგანმახორციელებელი	ი/მ გია მიქაუტაძე
საიდენტიფიკაციო კოდი	ს/კ 60001031589
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ.ქუთაისი,სულხან-საბას გამზ.N85/110 ბ.5
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	ქ.ქუთაისი,სულხან-საბას 8
საქმიანობის სახე	პლასტმასის ნაკეთობის წარმოება
დირექტორი	გია მიქაუტაძე
საკონტაქტო ტელეფონი	568 88 11 96
ელ.ფოსტა	Ltd.elshousse@gmail.com
საკონსულტაციოს ფირმა	შპს „ელსჰაუსი“
საკონტაქტო ტელეფონი	577-74-77-33
დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები	
საქმიანობის განხორციელების ადგილი	ქ. ქუთაისი სულხან-საბას N8 არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკ. კოდი (საკ. კოდი 03.05.04.122
განთავსების ადგილის კოორდინატი	X -307705,3 Y-4679936
საპროექტო წარმადობა	
პლასტმასის ნაკეთობა	2000 კგ/წელ.
საჭირო ნედლეულის რაოდენობა	2150კგ/წელ
სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში	180
ტექნოლოგიურ პროცესების ხანგრძლიობა დღე-ღამეში,სთ	8 სთ
დაშორებულ უახლოეს საცხოვრებელი სახლიდან	150 მ

## 2. საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა

ი/მ გია მიქაუტაძის (ს/კ60001031589) კუთვნილი მეორადი პლასტმასის გადამამუშავებელი საამქრო განთავსებულია არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი 03.05.04.122), ქ. ქუთაისი სულხან-საბას ქ. N8-ში. ტერიტორია და შენობა - ნაგებობა წარმოადგენს შპს „ქუთაისი“ საქართველოს უსინათლოთა კავშირის საკუთრებაში არსებულ საქმიან ეზოს, სადაც განთავსებულია სხვა და სხვა საწარმოო ობიექტები. (იხ. დანართი ხელშეკრულება და სამეწამეო ამონაწერი). ი/მ გია მიქაუტიძე აღნიშნულ ტერიტორიას შენობა-ნაგებობით სარგებლობს საიჯარო ხელშეკრულებით 2022 წლის მაისის თვიდან.

ამჟამად საწარმო არ ფუქნციონირებს, შეჩერებული აქვს საქმიანობა გარემოსდაცვითი დოკუმენტაციის მომზადებამდე.

ი/მ გია მიქაუტაძის საამქროს შენობას ირგვლივ ესაზღვრება როგორც საქმიანი ეზოს საწარმოო ობიექტების შენობები, ასევე აღმოსავლეთის მხრიდან სულხან საბას გამზირი და საქმიანი ეზო შპს „უნივერსალი-99“, სამხრეთით შპს „ჩვენი ეზო“, ტარიელ რევიშვილის სასაწყობე ნეშობა-ნაგებობა და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ჩრდილოეთით შპს „ტაო“-ს სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობები და ჩრდილო დასავლეთით - სს „გრანიტი“-ს საქმიანი ეზო,

საამქროს შენობიდან 150 მ მანძილის მოშორებით სამხრეთით ფიქსირდება მედეა ბაღდავაძის უახლოესი საცხოვრებელი სახლი (საკ. კოდი 03.05.24.295)

საამქროს ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს არ აღინიშნება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ტყით დაფარული ტერიტორია და წითელი ნუსხის სახეობები.

(იხ.დანართი საწარმოს სიტუაციური ნახაზი, საწარმოს გენ-გეგმა)

ი/მ გია მიქაუტაძის საწარმოს განთავსების GPS კოორდინატები მოცემულია ცხრილში N2.

ცხრილი N2

წერტ.N	წერილის GPSკოორდინატები	
	X	Y
1	307705.3	4679936
2	307696.4	4679923
3	307685.8	4679930
4	307694.8	4679943

### 3. პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ტექნიკური მაჩვენებლები და ტექნოლოგიური აღწერა

ი/მ გია მიქაუტაძის პლასტმასის ნაკეთობათა დამამზადებელ საწარმოს მიერ დაკავებული შენობის ფართი 202 მ<sup>2</sup>-ა. საწარმოსთვის განკუთვნილ შენობაში დამონტაჟებულია: ორი ერთეული თერმოპლასტ-ავტომატი, ორი ერთეული დამქუცმაცებელი და დამხმარე მოწყობილობები. შენობაში ასევე გამოყოფილია ოთახი (სათავსო)-სადაც ხდება ნედლეულის და მიღებული პროდუქციის დასაწყობება ტომრებით.

საწარმოში ამჟამად დასაქმებულია ერთი ადამიანი (კაცი), ტექნოლოგ-ოპერატორი.

საწარმოს საპროექტო წარმადობა: პლასტმასის ნაკეთობა დამზადება 2000კგ/წელ, რისთვისაც ესაჭიროება 2150კგ/წელ მეორადი პლასტმასის ნარჩენები.

საწარმო მუშაობს ერთცვლიანი სამუშაო რეჟიმით, 8 საათიანი სამუშაო დღით, წელიწადში 180 დღე, 1440 სთ/წელ.

ი/მ გია მიქაუტაძე სხვა და სხვა მომწოდებლებისაგან, მოთხოვნილების შესაბამისად შეიძენს პლასტმასის ნარჩენებს (პლასტმასის ტარა, შესაფუთი მასალას, პლასტმასის შემცველი სხვა და სხვა დანიშნულებით გამოყენებული საყოფაცხოვრებო ძველი ნივთები ა. შ. )

საწარმოს ტექნოლოგიური სქემის მიხედვით პლასტმასის ნაკეთობათა წარმოების პროცესი შედგება შემდეგი ძირითადი ეტაპებისაგან:

- შემოტანილი ნედლეულის დასაწყობება, დახარისხება- გადარჩევა
- პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავება (დაქუცმაცება) ე. წ. „ ჩიფსების” წარმოება
- მიღებული პლასტმასის „ჩიფსებიდან” პლასტმასის ნაკეთობების (საოჯახო ნივთების - ვარცლი, სალთი) დამზადება
- მიღებული პროდუქციის დასაწყობება და რეალიზაცია.

დანადგარების დასახელება და ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია ცხრილი N 3  
 ცხრილი N3

N	დანადგარის დასახელება	სამარკო სახელწოდება	ტექნიკური მახასიათებლები
1	თერმოპლასტ-ავტომატი	„XMELINSKI	წარმადობა 3კგ/სთ. ნაკეთობის წონა 500გრ. დამზადების დრო 1წთ. საათში შესაძლებელია 45 ნაკეთობის დამზადება
	თერმოპლასტ-ავტომატი	„ODESA”	წარმადობა 4-5კგ/სთ. ნაკეთობის წონა 300-400გრ. დამზადების დრო 1წთ. საათში შესაძლებელია 100 ნაკეთობის დამზადება
2	წისქვილი	DPG 25751	წისქვილში შესაძლებელია 50კგ. ჩიფსის მიღება.
3	როტაციული დამქუცმაცებელი	a-23-450	საათური წარმადობა 25 კგ

#### 4. საწარმოს ნედლეულით მომარაგება

საწარმოში გადასამუშავებელი ნედლეული წარმოადგენს არასახიფათო ნარჩენს- (პლასტმასის შესაფუთი მასალა, პლასტმასის ტარა, პლასტმასის ძველი საყოფაცხოვრებო ნივთები, სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N246 დადგენილების შესაბამისად მათი კოდია: 07.02.13; 12.01.05; 15.01. 02; 16.01.19;17.02.03; 20.01.39; ნარჩენების აღდგენის ოპერაციის კოდია R3 - „იმ ორგანული ნივთიერებების რეციკლირება/აღდგენა, რომლებიც არ გამოიყენება როგორც გამხსნელები, ითვალისწინებს პლასტმასის ე.წ. მეორეული მექანიკური რეციკლირებას”, ე. წ. „ ჩიფსებიდან” პლასტმასის ნაკეთობების დამზადებას.

საწარმო ნედლეულს (პლასტმასის ნარჩენებს) შეიძენს სხვა და სხვა მომწოდებლებისგან მოთხოვნის შესაბამისად. საწარმოში ნარჩენების შემოტანა მოხდება ქვეყანაში მოქმედი ფიზიკური და იურდიული პირების (კონტრაქტორების) მიერ ხელშეკრულების საფუძველზე. ი/მ გათვალისწინებული არ ახდენს პლასტმასის ნარჩენების შეგროვებას.



საწარმოს ტერიტორიაზე ნედლეული შემოიზიდება კონტრაქტორების მიერ სატრანსპორტო საშუალებებით.

პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ე/წ „ჩიფსების“ საწარმოებლად წლის განმავლობაში საჭირო ნედლეულის რაოდენობა შეადგენს დახლოებით 2150 კგ-ს.

ზოგიერთ შემთხვევაში საწარმოში შემოტანილი ნედლეული (პლასტმასის ნარჩენები) საჭიროებს რეცხვას. ნედლეული შესაძლებელია იყოს დაბინძურებული ან დაბინძურდეს ტრანსპორტირების წესების დარღვევით. ასეთ შემთხვევაში ხდება ნედლეულის გადარჩევა, დაბინძურებული ნედლეული გროვდება ცალკე ტომრებში და გადაეცემა სხვა პლასტმასის გადამამუშავებელ საამქროებს, რომელთაც შეუძლიათ დაბინძურებული პლასტმასის გარეცხვა და შემდგომ გადამამუშავება.

ტექნოლოგიური პროცესისათვის საჭიროა ენერგორესურსები, რომლის მოწოდებაც ხორციელდება ენერგო-პროჯორჯიას უახლოესი ქვედასადგურიდან, ხელშეკრულების საფუძველზე.

## 5. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

პლასტმასის ნაკეთობების დამზადება ხდება უმარტივესი მეთოდით, რომელიც ითვალისწინებს ნედლეულის გათბობას და ფორმირებას, რისთვისაც საწარმოში დამონტაჟებული ორი თერმოპლასტ-ავტომატი. დანადგარები ფუნქციონირებს მონაცვლეობით.

პლასტმასის ნაკეთობათა დამზადების ტექნოლოგიური პროცესი შემდეგია: ნედლეული შემოიზიდება ავტოტრანსპორტით და თავსდება საამქროში ნედლეულის დასასაწყობებლად გამოყოფილ ფართში. დასაწყობებული ნარჩენები დახარისხდება და საჭიროების შემთხვევაში გადაირჩევა. ნარჩენების მექანიკური დამუშავება - დაქუცმაცება ხდება სპეციალური მოწყობილობებით - ორი დამქუცმაცებლით.

დამქუცმაცებლის მიმღებში პლასტმასის ნარჩენების ჩაყრა ხდება ხელის ნიჩბის საშუალებით, მიმღებიდან გადადის კასეტაში, რომელშიც განთავსებულია ღერძზე განლაგებული ბასრი დანები. ელექტრო ძრავს ბრუნვით მოძრაობაში მოჰყავს ღერძი და სწრაფად მოძრავი დანები აქუცმაცებენ ნებისმიერ სახის პლასტმასის ნარჩენებს.

ე.წ „ ჩიფსი“ და სხვა ნატეხები გადის წინასწარ დამუშავებას-მსხვრევას. ე.წ. ჩიფსი შეფასდება წინასწარ. თუ მისი ზომები არ შეესაბამება საწარმოს მოთხოვნებს და მსხვილფრაქციულია მიეწოდება მეორე დანადგარს - წისქვილს და გაქუცმაცება შედარებით წვრილ ფრაქციად. საჭირო ნედლეულის მიღება შესაძლებელია ხვა და სხვა ფრაქციისა და ფერის ნედლეულის შერევით. შერევა ხდება პლასტმასის ავზში ხელის ნიჩბის გამოყენებით.

მიღებული ნედლეული ე.წ „ჩიფსები“ პირდაპირ მიეწოდება თერმოპლასტ-ავტომატს. ხელით იყრება მოწყობილობის ბუნკერში, საიდანაც თანდათანობით მიეწოდება ჰერმეტიკულ გამაცხელებელს. მასში პლასტმასის გაცხელება ხდება 250° C ტემპერატურამდე. ნედლეულის საჭირო ტემპერატურამდე გაცხელების შემდეგ მასა მიეწოდება ფორმირების განყოფილებას, სადაც ყალიბის მეშვეობით ფორმირდება შესაბამისი ნაკეთობა. ყალიბის გაციება ხდება გამაგრებული ვენტლატორით. ზომისა და ფორმის შესაბამისად ნაკეთობის დასამზადებლად საჭიროა სხვა და სხვა დრო 1 -2 წუთამდე. თერმოპლასტ ავტომატები ფუნქციონირებენ მონაცვლეობით

ნაკეთობის ფორმირების შემდეგ ოპერატორი იღებს დამზადებულ ნაკეთობას. შესაძლებელია მიღებულ ნაკეთობას ესაჭიროებოდეს ხელით დაფორმირება (ნაწიბურის მოჭრა), რაც ხორციელდება ოპერატორის მიერ. დამზადებული ნაკეთობა იწყობა შეძლებისდაგვარად შემჭიდროებულად (ძირითადად ერთმანეთში) და გადაიზიდება მზა პროდუქციის საწყობში.

ნაკეთობის ფერი დამოკიდებულია დამკვეთის მოთხოვნაზე. ნედლეული არის სხვა და სხვა ფერის. საჭიროების შემთხვევაში ხდება ფერის დამატება. ფერის შეცვლის საშუალებაა პოლიმერის ფერადი „ჩიფსები“.

საამქროში ტექნოლოგიური პროცესის განხორციელებისათვის საჭიროა ენერგორესურსები, რომლის მოწოდებაც ხორციელდება ენერგო-პრო ჯორჯიას ქვესადგურიდან, ხელშეკრულების საფუძველზე.

## 6. საწარმოს წყალმომარაგება, კანალიზაცია და ჩამდინარე წყლების არინება

საამქროს მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესიდან გამომდინარე წყალი არ ესაჭიროება. საამქროში დასაქმებულია ერთი ადამიანი და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით (სასმელი) წყლის გამოყენება ხდება საამქროს განთავსების ტერიტორიაზე „საქმიანი ეზოს“ ცენტრალური წყამომარაგების ქსელიდან. ასევე „საქმიან ეზოს“ აქვს საერთო სარგებლობის სანიტარული კვანძი და საპირფარეშო, რომელიც მოწყობილია ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე საამქროში არ წარმოიქმნება საწარმოო და საყოფაცხოვრებო-სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები და შესაბამისად საწარმოდან არ არის მოსალოდნელი ზედაპირული წყლის დაბინძურება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საწარმოში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს დახურულ შენობაში და ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დაბინძურების წყაროები პრაქტიკულად არ არსებობს.

## 7. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე შესაძლო ზემოქმედება

საქმიანობის განხორციელებისას მოსალოდნელია შემდეგი სახის ზემოქმედებები:

- ❖ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიები და ხმაურის გავრცელება;
- ❖ ნიადაგისა და გრუნტის დაბინძურების რისკები;
- ❖ ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება;
- ❖ მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები;
- ❖ ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკები;
- ❖ ნარჩენების წარმოქმნის და მართვის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება;
- ❖ ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე;
- ❖ კუმულაციური ზემოქმედება.

საწარმოში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესებისა და გამოყენებული ნედლეულის გათვალისწინებით გარემოში არ გამოიყოფა სახიფათო და ტოქსიკური (საშიშროების მაღალი კლასის) ნივთიერებები, საამქროს ექსპლუატაციის დროს დამაბინძურებელი ნივთიერებების გამოყოფის ინტენსივობა იმდენად დაბალია, რომ გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფით შედეგებს ვერ მოახდენს.

### 7. 1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე

საწარმო ექსპლუატაციის დროს მნიშვნელოვან გავლენას ატმოსფერულ ჰაერზე ვერ მოახდენს, რადგან ტექნოლოგიური პროცესების დროს ატმოსფერულ ჰაერში არ ხდება სახიფათო ნივთიერებების გამოყოფა. ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება გამოიხატება: ნედლეულის მომზადების, პლასტმასის ნარჩენების დაქუცმაცების გახურებისა და პლასტმასის ნაკეთობების ფორმირების დროს, ატმოსფერულ ჰაერში პოლიმერული მტვრის, ძმარმჟვას, ნახშირჟანგის და უჯერი ნახშირწყალაზბდების გამოყოფით.

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები მოცემულია ცხრილ - 2-ში.

ცხრილი 2. ნივთიერებების მახასიათებელი სიდიდეები

კოდი	მავნე ნივთიერებათა დასახელება	ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია მგ/მ <sup>3</sup>		მავნე ნივთიერებათა საშიშროების კლასი
		მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღე-ღამური	
988	პოლიმერული მტვერი	---	0,1	3
1555	ძმარმჟავა	0,2	0,06	3
337	ნახშირჟანგი	5,0	3,0	4
1033	უჯერი ნახშირწყალბადები	0,01	-	3

ანგარიში შესრულებულია საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებისათვის საანგარიშო მეთოდების და საწარმოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით.

საწარმოს ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერის დაბინძურების წყაროებს წარმოადგენს თერმოპლასტ-აპარატი და როტაციული დამქუცმაცებელი. ამ დროს შესაძლებელია გარემოში გამოიყოს:

- ❖ პოლიმერული მტვერი,
- ❖ ძმარმჟავა
- ❖ ნახშირჟანგი
- ❖ უჯერი ნახშირწყალბადები

ტექნოლოგიური პროცესის დროს გამოყოფილ მავნე ნივთიერებათა რაოდენობების გაანგარიშება ხდება „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მიხედვით, რეგლამენტის 79-ე დანართის შესაბამისად ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტის მნიშვნელობები მოცემულია N 3 ცხრილში

დამაბინძურებელი ნივთიერება		ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტი დაგამუშავებული მასალის მასის ერთეულზე გ/კგ
კოდი	დასახელება	
0988	პოლიმერული მტვერი	1,35
1555	ძმარმჟავა	1,6
0377	ნახშირჟანგი	0,85
1033	უჯერი ნახშირწყალბადები	0,9

გაფრქვევის ანგარიში პლასტმასის ნარჩენების დამაქუცმაცებელი როტაციული დანადგარიდან (გ-1 წყარო)

ემისიების გაანგარიშება პლასტმასის ნარჩენების დამაქუცმაცებელი დანადგარიდან ჩატარებულია სახელმძღვანელო მეთოდის დანართი 82-ის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც პოლიპროპილენის დაქუცმაცების დროს საწარმოში დამონტაჟებული

დანადგარისათვის ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტი შეადგენს 0,7გ/კგ-ზე. როტაციული დამაქუცმაცებლის მუშაობისას ატმოსფერულ ჰაერში ყოველ კილოგრამ დაქუცმაცებულ მასაზე გამოიყოფა პოლიმერული მტვერი 0,7გ/კგ-ზე, ყოველივე ამის გათვალისწინებით პოლიპროპილენის დაქუცმაცების (როტაციული დამაქუცმაცებლის წარმადობაა 25კგ/სთ-ში) დროს მტვრის გაფრქვევის ინტენსივობა გაწმენდის გარეშე ტოლი იქნება:

$$M_{\text{მტვ}} = 25 \times 0,7 / 3600 = 0,00486 \text{ გ/წმ}$$

იმის გათვალისწინებით რომ დანადგარის წლიური სამუშაო ფონდია 1440სთ/წელ მაშინ წამური გაფრქვევა ტოლი იქნება:

$$G = 0,00486 \text{ გ/წმ} \times 3600 \text{ წმ} \times 1440 \text{ სთ/წელ} \times 10^{-6} = 0,025 \text{ ტ/წელ}$$

ასპირაციის არ არსებობის შემთხვევაში მეთოდური სახელმძღვანელოს მიხედვით მყარი შეწონილი ნაწილაკების ემისიისათვის გამოიყენება კოეფიციენტი 0,4 ამ კოეფიციენტის გამოყენებით გამოყოფილი მტვრის გაფრქვევის სიმძლავრე იქნება:

$$G_{\text{აბგ}} = 0,025 \text{ ტ/წელ} \times 0,4 = 0,0100 \text{ ტ/წელ}$$

გაფრქვევის ანგარიში პლასტმასის ნარჩენების დამაქუცმაცებელი წისქვილიდან (გ-2 წყარო):

ემისიების გაანგარიშება პლასტმასის ნარჩენების დამაქუცმაცებელი დანადგარიდან ჩატარებულია სახელმძღვანელო მეთოდის დანართი 82-ის შესაბამისად, რომლის

მიხედვითაც პოლიპროპილენის დაქუცმაცების დროს საწარმოში დამონტაჟებული დანადგარისათვის ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტი შეადგენს 0,7გ/კგ-ზე.

აღნიშული მონაცემების გათვალისწინებით პოლიპროპილენის დაქუცმაცების დროს (წისქვილის წარმადლობაა 50კგ/წელ) მტვრის გაფრქვევის ინტენსივობა გაწმენდის გარეშე ტოლი იქნება:

$$M_{აგ.} = 50 \times 0.7 / 3600 = 0,00972 \text{ გ/წმ}$$

იმის გათვალისწინებით რომ დანადგარის წლიური სამუშაო ფონდია 1440სთ/წელ მაშინ წამური გაფრქვევა ტოლი იქნება:

$$G = 0,00972 \text{ გ/წ} \times 3600 \text{ წმ} \times 1440 \text{ სთ/წელ} \times 10^{-6} = 0,0503 \text{ ტ/წელ}$$

ასპირაციის არ არსებობის შემთხვევაში მეთოდური სახელმძღვანელოს მიხედვით მყარი შეწონილი ნაწილაკების ემისიისათვის გამოიყენება კოეფიციენტი 0,4 ამ კოეფიციენტის გამოყენებით გამოყოფილი მტვრის გაფრქვევის სიმძლავრე იქნება:

$$G_{აგ.} = 0,0503 \text{ ტ/წელ} \times 0.4 = 0.0201 \text{ ტ/წელ}$$

გაფრქვევის ანგარიში თერმოპლასტ-ავტომატში პლასტმასის ნაკეთობების წარმოებისას (გ-3 და გ-4 წყარო)

სახელმძღვანელო მეთოდის დანართი 79-ის შესაბამისად, თერმოპლასტ-ავტომატში პლასტმასის ნაკეთობების პლასტმასის წარმოებისას ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა აირად ფაზაში არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებები: კერძოდ, ნახშირბადის ოქსიდი, ძმარმჟავა (ეთანმჟავა) და უჯერი ნახშირწყალბადები.

ემისიის გაანგარიშებისათვის გამოიყენება ტექნოლოგიური პროცესში გადასამუშავებელი მასალის საათური და წლიური ოდენობები.

i-ური ნივთიერების მაქსიმალური გაფრქვევა განისაზღვრება ფორმულით:

$$M = Q \cdot B' / 3600, \text{ გ/წმ}$$

სადაც Q - არის გამოყოფის კუთრი მაჩვენებელი გადასამუშავებელი მასალის 1 კგ-დან (გ/კგ)  
B' - გადასამუშავებელი მასალის მაქსიმალური ერთჯერადი ხარჯი მოწყობილობაზე (დანადგარზე) (კგ/სთ)

i-ური ნივთიერების ჯამური წლიური გაფრქვევა განისაზღვრება ფორმულით:

$$M = Q \cdot B \cdot 10^{-6}, \text{ ტ/წელ}$$

სადაც Q - არის გამოყოფის კუთრი მაჩვენებელი გადასამუშავებელი მასალის 1 კგ-დან (გ/კგ)  
B - გადასამუშავებელი მასალის ჯამური წლიური ხარჯი (კგ/წელ).

ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელი ნივთიერებების მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოყვანილია ქვემოთ:

მასალის მაქსიმალური ხარჯი B' -- 1,49კგ/სთ

მასალის ჯამური წლიური ხარჯი B -- 2150 კგ/წელ

Q - დამაბინძურებელი ნივთიერებების კუთრი გამოყოფა: ძმარმჟავა - 0,3 გ/კგ;  
ნახშირჯანგი - 0,2 გ/კგ, უჯერი ნახშირწყალბადები - 0,9გ/კგ

გაანგარიშების საწყისი მონაცემების შესაბამისად:

1555 ეთანმჟავა (ძმარმჟავა)

$$M = 0,3 \cdot 1,49 / 3600 = 0,000124 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,3 \cdot 2150 \cdot 10^{-6} = 0,000645 \text{ ტ/წელ.}$$

0337. ნახშირბადის ოქსიდი

$$M = 0,2 \cdot 1,49 / 3600 = 0,0000827 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,2 \cdot 2150 \cdot 10^{-6} = 0,00043 \text{ ტ/წელ}$$

1033 უჯერი ნახშირწყალბადები

$$M = 0,9 \cdot 1,49 / 3600 = 0,000372 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,9 \cdot 2150 \cdot 10^{-6} = 0,00193 \text{ ტ/წელ}$$

ამდენად, საწარმოს ფუნქციონირებისას წელიწადში ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი მავნე ნივთიერებების რაოდენობა იქნება:

პოლიმერული მტვერი - 0.0201 ტ/წელ

ძმარმჟავა - 0,000645 ტ/წელ.

ნახშირჟანგი - 0,00043 ტ/წელ

უჯერი ნახშირწყალბადები - 0,00193 ტ/წელ

## 7.2. ხმაურის გავრცელება და ზემოქმედება

საწარმოს მუშაობას თან სდევს ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე და ადამიანებზე. საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროებს წარმოადგენს ორი დამქუცმაცებელი. მათი ხმაურის დონის დადგენის მიზნით იდენტურ საწარმოებში BIII-003 ხელსაწყოთი ჩატარებულმა ინსტრუმენტულმა გაზომვებმა გვიჩვენა, რომ ხმაურის ჯამური დონე საწარმოო უბანზე დღისით 50-55 დბა-ია. ვინაიდან საწარმო განთავსებულია დახურულ შენობაში, ეს ხმაურის დონეს არანაკლებ 15 დბა-ით ამცირებს.

ამდენად, ხმაურის დონე შენობის გარეთ 45დბა-ს არ აღემატება. გარდა ამისა საწარმო შენობა უახლოესი საცხოვრებელი უბნიდან დაშორებულია 150 მეტრის მანძილზე. ნორმატიული დოკუმენტით – სანიტარიული ნორმები „ხმაური სამუშაო ადგილებზე, საცხოვრებელი, საზოგადოებრივი შენობების სათავსოებში და საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე“ საცხოვრებელი სახლების მიმდებარე

ტერიტორიაზე ხმაურის დასაშვები დონე, დღის საათებისათვის შეადგენს 55 დბა-ს, ხოლო ღამის საათებისათვის 45 დბა-ს. ამრიგად, ხმაურის დონე საანგარიშო წერტილში, უახლოეს დასახლებაში არ აღემატება ნორმირებულ სიდიდეს დღის და ღამის საათებისათვის. კაპიტალური კედელის ეფექტურობა შეადგენს 10-15დბ (A), ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ საცხოვრებელ სახლებში საწარმოს გავლენით მოსალოდნელი ხმაურის დონე ვერ გადაჭარბებს მთავრობის N398 დადგენილებით დამტკიცებულ ნორმას (35დბა-ს).

### 7.3 ნიადაგის, გრუნტის, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკები;

საწარმოს მიმდინარე საქმიანობის პროცესში ნიადაგის და გრუნტის დაბინძურების მიზეზი შეიძლება გახდეს:

- ❖ საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის წესების დარღვევა;
- ❖ ავტოტრანსპორტიდან ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრა;

ნიადაგის და გრუნტების დაბინძურების რისკები მინიმუმამდეა დაყვანილი, რადგან საწარმოო პროცესი არ გამოიყენება ისეთი ნივთიერებები, რომელიც გამოიწვევს ნიადაგისა და გრუნტის დაბინძურებას. მით უმეტეს საწარმოო პროცესი მიმდინარეობს მთლიანად დახურულ მობეტონებულ შენობაში.

მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები საწარმოს ტერიტორიიდან არ არსებობს, რადგან საწარმოო პროცესის მიმდინარეობის დროს გამოიყენება მხოლოდ ისეთი ნედლეული და მასალები, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავს მიწისქვეშა წყლების დაბინძურებას.

საწარმოში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს დახურულ შენობაში და ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დაბინძურების წყაროები პრაქტიკულად არ არსებობს.

ასევე საწარმოს ფუნქციონირების დაწყებისათვის არ იწარმოება არავითარი მშენებლობა, რადგან ის მთლიანად განთავსებული იქნება უკვე არსებულ შენობაში.

საამქროს მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესიდან გამომდინარე წყალი არ ესაჭიროება. საამქროში დასაქმებულია ერთი ადამიანი და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით (სასმელი) წყლის გამოყენება ხდება საამქროს განთავსების ტერიტორიაზე „საქმიანი ეზოს“ ცენტრალური წყამომარაგების ქსელიდან. ასევე „საქმიან ეზოს“ აქვს საერთო სარგებლობის სანიტარული კვანძი და საპირფარეო, რომელიც მოწყობილია ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელზე.



აღნიშნულიდან გამომდინარე საამქროში არ წარმოიქმნება საწარმოო და საყოფაცხოვრებო-სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები და შესაბამისად საწარმოდან არ არის მოსალოდნელი ზედაპირული წყლის, ნიადაგის და მიწისქვეშა წყლების დაბინძურება.

#### 7.4. ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება

საწარმო განთავსებულია ათვისებულ ტერიტორიაზე, წლების წინ აშენებულ შენობა-ნაგებობაში. ამდენად, მისი ფუნქციონირება ლანდშაფტზე რაიმე გავლენას ვერ იქონიებს. საწარმოს თავისუფალ ტერიტორიაზე მოწყობილი აქვს გამწვანების ზოლი, სადაც დარგულია და ხარობს სხვა და სხვა სახეობის ხემცენარეები, ასევე გავრცელებულია სარეველა მცენარეები. საწარმოს განთავსების ტერიტორიაზე არ არის დაფიქსირებული გარეული ცხოველების არსებობა.

საწარმოს ფუნქციონირება არ არის დაკავშირებული მშენებლობასთან, ახალი ტერიტორიის ათვისებასთან. არ იგეგმება ხეების მოჭრა ან ისეთი სამუშაოები, რომლებიც გავლენას მოახდენს მცენარეთა საფარზე. ტექნოლოგიური დაგადგარები მოთავსებულია შენობის შიგნით, მუშაობა მიმდინარეობს მხოლოდ დღის საათებში, ამდენად ბიომრავალფეროვნებაზე რაიმე ზეგავლენას ვერ მოახდენს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გამორიცხულია ბუნებრივ ლანდშაფტზე, ფლორასა და ფაუნაზე დამატებითი უარყოფითი გავლენის მოხდენა.

#### 7.5 ნარჩენების წარმოქმნის და მართვის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება, ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები

საწარმოში ნარჩენების ტრანსპორტირება განხორციელდება სანიტარიული და გარემოსდაცვითი წესების სრული დაცვით.

ნარჩენების ჩატვირთვა/გადმოტვირთვა და ტრანსპორტირებისას მაქსიმალურად იქნება გამორიცხული ნარჩენების დაკარგვა და გაფანტვა გარემოში.

ობიექტზე მოსალოდნელია შემდეგი სახის ნარჩენების წარმოქმნა:

- ❖ საწარმოო ნარჩენები;
- ❖ საყოფაცხოვრებო ნარჩენები;

საყოფაცხოვრებო ნარჩენები (დაახლოებით 0,5მ<sup>3</sup>/წელში) განთავსდება საწარმოს „საქმაინია ეზოს“ ტერიტორიაზე დადგმულ კონტეინერებში და ხელშეკრულების საფუძველზე პერიოდულად გატანილი იქნება ადგილობრივი კომუნალური დასუფთავების სამსახურის მიერ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე.

საწარმოს ექსპლუატაციისას წარმოქმნილი საწარმოო ნარჩენი წუნდებული პროდუქცია და ნაწიბურები კვლავ წარმოებაში ბრუნდება და ისინი ნარჩენების სახით არ რჩება.

ნედლეულის გადარჩევის დროს (ნედლეული შესაძლებელია იყოს დაბინძურებული) ასეთ შემთხვევაში ხდება დაბინძურებული ნედლეული გროვდება ცალკე ტომრებში და გადაეცემა სხვა პლასტმასის გადამამუშავებელ საამქროებს, რომელთაც შეუძლიათ დაბინძურებული პლასტმასის გარეცხვა და შემდგომ გადამამუშავება.

საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში სარემონტო სამუშაოების ან სხვა სახის სამუშაოების შესრულებისას წარმოქმნილი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრები განთავსებული იქნება სპეციალურ თავდახურულ, ჰერმეტიკულ რკინის კონტეინერში და გადაეცემა იმ ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნია ნებართვა მის გატანაზე და უტილიზაციაზე.

აღნიშნული ნარჩენების რაოდენობა უმნიშვნელოა და მათი რაოდენობა წელიწადში არ აღემატება მაქსიმუმ 10 კილოგრამს.

მეტალის (სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების ჩატარებისას წარმოქმნის შემთხვევაში) ნარჩენების რეალიზება მოხდება ჯართისა და ფერადი მეტალების მიმღებ პუნქტებში.

## 7.6 ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე;

საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ზემოქმედების ძირითადი რეცეპტორები მომსახურე პერსონალია. მომსახურე პერსონალის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირი სახით მოსალოდნელი არ არის, რადგან საწარმოში არ არის გამოყენებული მაღალ ტემპერატურასა და წნევაზე მომუშავე დანადგარები, სახიფათო და ტოქსიკური ნივთიერებები. საწარმოში გამოყენებული დანადგარები არ შეიცავს ავარიის წარმოქმნისა და გავრცელების დიდ რისკებს, თუმცა ნედლეული და პროდუქცია ხანძრის შემთხვევაში კარგად იწვის.

საწარმოში დაცულია შრომის უსაფრთხოების პირობები: დასაქმებული პერსონალი უზრუნველყოფილია ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, ასევე უზრუნველყოფილია მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობა, რაც საქმიანობის პროცესში მინიმუმამდე შეამცირებს უარყოფითი ზემოქმედების რისკებს.

ობიექტიდან მოსალოდნელი ემისიების სახეობრივმა და რაოდენობრივმა გაანგარიშებამ აჩვენა, რომ საწარმო ექსპლუატაციის პროცესში მოსახლეობაზე უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს, რადგან არ არის მოსალოდნელი ემისიების ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობებზე გადაჭარბება.

## 7.7 კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია, საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული, არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე საქმიანობების განხორციელებით მოსალოდნელი მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად, გაცილებით მაღალი და საგულისხმო უარყოფითი ან დადებითი შედეგების მომტანია. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში, საქმიანობის სპეციფიკიდან და განთავსების ადგილიდან გამომდინარე, კუმულაციური ზემოქმედების ერთადერთ საგულისხმო სახედ უნდა მივიჩნიოთ ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება და ხმაურის გავრცელება. კერძოდ, საწარმოს და მის მიმდებარედ არსებული საწარმოების ერთდროული ფუნქციონირების შედეგად გამოწვეული ხმაურის ჯამური ზეგავლენა გარემოს სხვა და სხვა რეცეპტორებზე.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საწარმოს გავლენის ზონაში, საწარმოს მომიჯნავედ განთავსებულია და ფუნქციონირებს ანალოგიური ტიპის საწარმოები, რომელთაც სამინისტროსთან შეთანხმებული აქვთ ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშები, კერძოდ: 1) ი/მ გიორგი ჩხიკვაძის პლასტმასის ნაკეთობათა დამამზადებელი საწარმო, რომლის ფუნქციონირებისას წელიწადში ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი მავნე ნივთიერებების რაოდენობა ინვენტირაზიის ანგარიშის შესაბამისად შედგენს: პოლიმერული მტვერი - 0,00268ტ/წელ მმარმჟავა - 0,00039 ტ/წელ ნახშირჯანგი - 0,00026ტ/წელ უჯერი ნახშირწყალბადები - 0,00117ტ/წელ. 2) ი/მ თეიმურა კუხიანიძის მეორადი პოლიეთილენის ცელოფნის პარკების დამქუცმაცებელი საამქრო, რომლის ფუნქციონირებისას წელიწადში ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი მავნე ნივთიერებების რაოდენობა შეადგენს: პოლიმერული მტვერი - 0,000293 ტ/წელ. 3) ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის მეორადი პოლიეთილენის დანაწევრებული თოკების გადამამუშავებელი საამქრო - პოლიმერული მტვერი - 0,0107ტ/წელ ეთანმჟავა (მმარმჟავა) - 0,0672 ტ/წელ, ნახშირჯანგი - 0,0357ტ/წელ , უჯერი ნახშირწყალბადები - 0,0378ტ, 4) შპს „უზნ ჯგუფის“ პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) და პლასტმასის ნაკეთობების საწარმოს - პოლიმერული მტვერი - 0,031ტ/წელ მმარმჟავა - 0,042 ტ/წელ ნახშირჯანგი - 0,25ტ/წელ უჯერი ნახშირწყალბადები - 0,0115ტ, 5) ი/მ ინული ლიკლკაძე მეორადი პოლიეთილენის ცელოფნის პარკების ნარჩენების გადამამუშავებელ საწარმო- პოლიმერული მტვერი - 0,0032ტ/წელ. მმარმჟავა - 0,018 ტ/წელ , ნახშირჯანგი - 0,012ტ/წელ.

ამდენად, ობიექტები ფუნციონირებენ დადგენილი ნორმების შესაბამისად აღნიშულიდან გამომდინარე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

## 8. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

იმის გათვალისწინებით, რომ ობიექტის ფუნქციონირება ასტიმულირებს და ხელს უწყობს სახვა და სხვა საწარმოო ობიექტების ფუნქციონირებას, საწარმო მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოციალურ ეკონომიური პირობების გაუმჯობესებაში. საწარმოში დასაქმებულთა რიცხვი დიდი არ არის (ერთი ადამიანია) მაგრამ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით დადებითად იმოქმედებს ადამიანის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

წარმოებული პროდუქციით ხელს უწყობს ნამზადზე მოთხოვნილების მქონე საწარმოების მუშაობას. ასევე საგადასახადო კანონდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხდის მასზე დაკისრებულ გადასახადებს, რაც დადებითად აისახება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

დანართი



ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო  
(არაკომერციული) იურიდიული პირების  
რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 177608  
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B10165693  
ამონაწერის მომზადების თარიღი: 06/12/2010 19:56:26

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: გაი მიქაუტაძე  
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქუთაისი, სულობან-საბას 85/110  
ძველი საიდენტიფიკაციო კოდი: 112843102  
საიდენტიფიკაციო კოდი: 60001031589  
სამართლებრივი ფორმა: ინდივიდუალური მეწარმე  
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 17/05/2005  
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი: 021/4508  
მარეგისტრირებელი ორგანო: საგადასახადო ინსპექცია  
საგადასახადო ინსპექცია: ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგ-დო ინსპექცია)

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იმოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მომრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება:  
<http://public.reestri.gov.ge> ან დაგვიკავშირდეთ: 25 15 27; 895 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.



**ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეთა  
(არაკომერციული) იურიდიული პირების  
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16146400, 25/10/2016 11:29:00

**სუბიექტი**

საფირმო სახელწოდება:	შპს ქუთაისი
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	212680179
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	12\4-282; 29/08/1996
მარეგისტრირებელი ორგანო:	ქ.ქუთაისის სასამართლო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქუთაისი, სულხან-საბას ქ., №8

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის  
მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

**ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა**

- დირექტორი - 60001092755, მანონი გოლეთიანი

**პარტნიორები**

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
206070222, საქართველოს უსინათლოთა კავშირი	100.000000000%	

**ვალდებულება**

რეგისტრირებული არ არის

**გირავნობა**

რეგისტრირებული არ არის

**ყადაღა/აკრძალვა**



რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა 0303009224 03/12/2001  
შპს "ქუთაისი" ს/ნ 212680179  
საგანი: მთელი ქონება  
საფუძველი: შეტყობინება, N03/1210, 03.12.2001, ქუთაისის საოლქო  
საგადასახადო ინსპექცია
- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა 0303009047 03/12/2001  
შპს "ქუთაისი" ს/ნ 212680179  
საგანი: მთელი ქონება  
საფუძველი: შეტყობინება, N03/1210, 03.12.2001, ქუთაისის საოლქო  
საგადასახადო ინსპექცია

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკვთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- 
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
  - ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge) , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
  - ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
  - კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
  - საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
  - თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)



### ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია  
N 882021263295 - 06/04/2021 13:34:27

მომზადების თარიღი  
06/04/2021 19:01:03

### საკუთრების განყოფილება

ზონა ქუთაისი	სექტორი ვაკისუბანი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების გიპი: საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 18364.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 03.05.01.430; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართობით 842.12 კვ.მ. (მათ შორის სასარგებლო ფართი 829.17 კვ.მ., დამხმარე ფართი 12.95 კვ.მ.)
<b>03</b>	<b>05</b>	<b>04</b>	<b>122</b>	

მისამართი: ქალაქი ქუთაისი, გამზირი სულხან-საბა, N 8  
, (ნაკვ 04/122)

### მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882009025244 , თარიღი 04/02/2009 14:12:43  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 10/02/2009

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ოქმი, N264 15, გაფორმების თარიღი: 14/05/1947, საქ. საბჭოს აღმასკომი
- გადაწყვეტილების ოქმი, N42 3, გაფორმების თარიღი: 13/11/1958, საქ. საბჭოს აღმასკომი
- მომართვა, N430, გაფორმების თარიღი: 11/06/1999, ქ. ქუთაისის მიწის მართვის სამმართველო
- 1977 წლის გადაწყვეტილება, N24/24-780, ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი
- ბრძანება Nბ10.01172922, დამოწმების თარიღი: 19/10/2017, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახური
- საქართველოს უსინათლოთა კავშირის შპს სსწ "ქუთაისი" -ს მომართვა გაყოფის შესახებ, N03/05/10818, გაფორმების თარიღი: 17/11/2005
- გადაწყვეტილება (ოქმი N23 17), N485, გაფორმების თარიღი: 24/09/1969, საქ. საბჭოს აღმასკომი
- დადგენილება, N12/4-282, გაფორმების თარიღი: 29/08/1996, ქ. ქუთაისის სასამართლო
- გადაწყვეტილება, N9/54-318, გაფორმების თარიღი: 16/05/1979, ქ. ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი

მესაკუთრები:

საქართველოს უსინათლოთა კავშირის შპს "ქუთაისი", ID ნომერი: 212680179

მესაკუთრე:

საქართველოს უსინათლოთა კავშირის შპს "ქუთაისი"

აღწერა:

### იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა: 0303009047 03/12/2001

შპს "ქუთაისი" ს/6 212680179

საგანი: მთელი ქონება

საფუძველი: შეტყობინება, N03/1210, 03.12.2001, ქუთაისის საოლქო საგადასახადო ინსპექცია

- საგადასახადო გირაუნობა/იპოთეკა: 0303009224 03/12/2001

შპს "ქუთაისი" ს/6 212680179

საგანი: მთელი ქონება

საფუძველი: შეტყობინება, N03/1210, 03.12.2001, ქუთაისის საოლქო საგადასახადო ინსპექცია

## სარგებლობა

განცხადების

რეგისტრაცია

ნომერი

882019971657

თარიღი 21/11/2019

16:29:58

უფლების

რეგისტრაცია: თარიღი

27/11/2019

მოიჯარე: შპს "იფქლი დილომი" 202296194;

საგანი: შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართობი 842.12 კვ.მ. - ღან 200 კვ.მ.;

საბოლოო თარიღი: 22/11/2020;

ხელშეკრულება იჯარის შესახებ, დამოწმების თარიღი 21/11/2019, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

## ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), ნებისმიერ გერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)



# საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული  
სააგენტო

საკადასტრო კოდი: **03.05.04.122**

განცხადების ნომერი: **892017003506**


მომზადების თარიღი: **26/10/2017**

ნაკვეთის დანიშნულება:

ფართობი:

არასასოფლო საშენი

18364 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)



05/25 მშენებარე ნაგებობა	05/25 მუნიციპალიტეტის ტერიტორია	ტყის ფონდი
ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი	საზღვარი ნაგებობა	ვალდებულება

# ხელშეკრულება

არასაცხოვრებელი ფართობის მოკლევადიანი იჯარით  
გაცემის შესახებ

02.05.2022წ.

ქუთაისი

საქ. უსინათლოთა კავშირის შ.პ.ს. „ქუთაისის“ დირექტორი  
შემდგომში მეიჯარე მანონი გოლუთაიანის სახით. ერთის მხრივ და  
~~მეორეს მხრივ შემდგომში „მოიჯარე“ წოდებული,~~  
დადეს წინამდებარე ხელშეკრულება, შემდგომში საიჯარო  
ხელშეკრულებად წოდებული შემდგომში:

## 1. ხელშეკრულების საგანი.

- 1.1. ხელშეკრულების თანახმად „მეიჯარე“ გადასცემს, ხოლო  
მოიჯარე იღებს 2022 წლის 02.05.2022 წლის ~~02.05.2022 წლის~~  
~~საქართველოს ქუთაისში~~ ~~მანონი გოლუთაიანის~~  
~~კუთვნილობის~~ ~~ნაწილს~~  
კუთვნილობის 202 მ/ს.
- 1.2. იჯარით გადაცემული ქონება წარმოადგენს „მეიჯარის“  
საკუთრებას და გამოსყიდვას არ ექვემდებარება.
- 1.3. იჯარით. გასაცემი ქონების გადაცემა და დაბრუნება  
ხორციელდება მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც  
აფორმებენ მხარეები და იგი წარმოადგენს ამ ხელშეკრულების  
განუყოფელ ნაწილს

## 2. საიჯარო ქირა

- 2.1. „მოიჯარე“ ვალდებულია ყოველთვიურად გადაუხადოს  
„მეიჯარეს“ ~~300 ლარი (საუბრალოდ)~~ 2022 წლის ~~შე~~  
საიჯარო ქირის გადახდას მოიჯარე აწარმოებს ყოველი მომდევნო  
თვის — რიცხვამდე.
- 2.2. საიჯარო ქირის გადახდა არ ათავისუფლებს „მოიჯარეს“  
კანონით გათვალისწინებული სხვა გადასახადისაგან თუ სხვა რამ  
არ არის გათვალისწინებული საქ. რესპუბლიკის მოქმედი  
კანონმდებლობით.
- 2.3. გადახდის ვადის გადაცილებისათვის „მოიჯარე“ უხდის  
„მეიჯარეს“ პირგასამტეხლოს ხელშეკრულების თანხის 0,1%-ის  
ოდენობით ყოველი ვადა გადაცილებული დღისათვის.
- 2.4. „მოიჯარე“ ვალდებულია გადაუხადოს „მეიჯარეს“ როგორც  
აბონენტს ყოველთვიურად ელ. ენერჯის ღირებულება მრიცხველის  
ჩვენების მიხედვით. იმ შემთხვევაში თუ მრიცხველი არ არის

დამონტაჟებული „მოიჯარე“ ვალდებულია თავად უმოკლეს დროში უზრუნველყოს მისი შექმნა მონტაჟი. ელ. ენერჯის გადახდის ვადაა მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

2.5 უზრუნველყოს და პასუხი აგოს იჯარით გადაცემული ქონების სანიტარულ-ჰიგიენური უსაფრთხოებისა და ხანძარ საწინააღმდეგო ნორმების მკაცრ დაცვაზე.

### 3. იჯარით აღებული ქონების სარგებლობის მიზანი.

3.1. „მოიჯარე“ გამოიყენებს იჯარით გადაცემულ ფართს \_\_\_\_\_

მკვიდრის სასახლის სარგებლობის მიზნით და მკვიდრის

### 4. მხარეთა უფლება მოვალეობანი.

4.1. „მეიჯარე“ საიჯარო ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე გადასცემს „მოიჯარეს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფართს.

4.2. „მოიჯარე“ ვალდებულია მოუაროს იჯარით აღებულ ქონებას.

4.3. „მოიჯარე“ დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. საიჯარო ქონების გამოყენებით შექმნილი შემოსავალი, აგრეთვე ამ შემოსავლის ხარჯვით შექმნილი ქონება ეკუთვნის „მოიჯარეს“.

4.4. „მეიჯარე“ უფლებამოსილია ცალმხრივად გაწყვიტოს ხელშეკრულება იმ შემთხვევაში თუ „მოიჯარე“ განზრახ ან დაუდევრობით აუარესებს ფართის მდგომარეობას.

დანიშნულებებისამებრ არ იყენებს საიჯარო ფართს. არ იხდის საიჯარო ქირას ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

4.5. „მეიჯარეს“ უფლება აქვს მოითხოვოს წინასწარ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ხელშეკრულების ვადამდე გაუქმება, რაც ერთი თვით ადრე უნდა შეატყობინოს „მოიჯარეს“.

4.6. „მოიჯარეს“ უფლება აქვს საიჯარო ხელშეკრულების ვადამდე გაუქმებისა, თუ საიჯარო ქონება გამოუსადეგარი გახდება იმ გარემოებისა გამო, რომელთათვისაც „მოიჯარეს“ პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

4.7. იჯარის პერიოდში „მეიჯარეს“ და „მოიჯარეს“ შორის ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან გაუქმების თაობაზე წარმოქმნილ სადაო საკითხს განიხილავს და წყვეტს სასამართლო არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

### 5. „მეიჯარისათვის“ ქონების დაბრუნება:

5.1. თუ „მოიჯარე“ საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტამდე ქონებას უკან აბრუნებს, იგი საიჯარო ქირის გადახდისაგან მხოლოდ მაშინ

თავისუფლდება, თუ თავის სანაცვლოდ შესთავაზებს ასევე გადახდისუნარიან და „მეიჯარესათვის“ მისაღებ „მოიჯარეს“, რომელიც თანახმა უნდა იყოს იჯარით ხელშეკრულება მიიღოს იგივე პირობებით.

52. თუ „მოიჯარე“ ვერ შესთავაზებს ასეთ „მოიჯარეს“ მან საიჯარო ქირა უნდა იხადოს ურთიერთობათა დასრულებამდე.


53. საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ „მოიჯარე“ გააგრძელებულია მიღება-ჩაბარების აქტით დაუბრუნოს „მეიჯარეს“ ქონება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში.

54. თუ „მოიჯარემ“ გააუარესა საიჯარო ქონების მდგომარეობა მან უნდა აუნაზღაუროს „მეიჯარეს“ მიყენებული ზარალი საბაზრო ფასებით.

55. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ვალიად, რომელიც ჩაბარდა ორიგ მხარეს.

მეიჯარე

სულხან-საბას ქაჩი №8  
კოდი 212680179  
ანგ. 008467310



დირექტორი (მ. გულუგეთიანი)

მოიჯარე

*მ. გ. გულუგეთიანი*

*ს. გულუგეთიანი*

*პ/ბ 60001031589. ს/პ 60001031589*

*პ/ბ. 568 881196*

*გ. გულუგეთიანი*



ა(ა)იპ "ქუთაისის არქიტექტურის,  
ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა  
დაცვის სააგენტო"  
N(N)LE " ARCHITECTURE, URBAN  
PLANNING AND MONUMENT  
PROTECTION AGENCY OF KUTAISI"



წერილის ნომერი: **10-44222281**  
თარიღი: **16/08/2022**

ადრესატი: შპს ელსპაუსი  
საიდენტიფიკაციო ნომერი: 412756334  
მისამართი: ქუთაისი, ასათიანის ქ.98

ბატონო ზვიად,

თქვენი N 10/4422227245-44 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ N 03.05.04.122 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების პირობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, გაცნობებთ რომ ამჟამად მიმდინარეობს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალურ გეგმის დამუშავების პროცესი და აღნიშნულ ტერიტორია მოიაზრება როგორც სამშენებლო ზონა - ინდუსტრიული ზონა(იზ); სამშენებლო ქვეზონა- საწარმოო ზონა (იზ-1) , რომლის ქალაქგეგმარებითი პარამეტრებია კ1- საჭიროების მიხედვით, ტექნოლოგიური პროცესიდან გამომდინარე; კ2- საჭიროების მიხედვით, ტექნოლოგიური პროცესიდან გამომდინარე და კ3 - 0,2.

„ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილების მე-15 მუხლის შესაბამისად:

1. სამეწარმეო ზონა არის ინდუსტრიული ზონის ქვეზონა, სადაც დომინირებს საწარმოო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/ მავნე საწარმოო პროცესები.

2. ნებადართული სახეობებია:

ა) საწარმოო ობიექტი;

ბ) ღია და დახურული საწყობი;

გ) ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების ობიექტი.

3. საგამონაკლისო წესით შეიძლება ასევე დასაშვები იყოს სხვა არამავნე მრეწველობის ობიექტები.

პატივისცემით,

რუსუდან ჩინჩალაძე

ა(ა)იპ „ქუთაისის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს“ უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი







სახელმწიფო არასასოფლო  
მიწის ნაკვეთი

საქციო საზოგადოება  
გრანიტი

იმ თემურაზ კუხიანიძის  
პოლიეთილენის ნარჩენების  
გადამამუშავებელი სწარმო ახალი

უსინათლოთა კავშირი შპს „ქუთაისი“

იმ გიორგი ჩხიკვიძის  
პლასტმასის ნაკეთობათა  
დამამზადებელი სწარმო

იმ გია მიქაუაძის  
პლასტმასის ნაკეთობების  
დამამზადებელი საწარმო

იმ თემურაზ კუხიანიძის  
პოლიეთილენის ნარჩენების  
გადამამუშავებელი სწარმო


მედია ბაღდაძის  
საცხოვრებელი სახლი

შპს "ჩვენი ეზო"




ტარიელ რევეტილის შენობა  
და არასასოფლო მიწის  
ნაკვეთი



გენ-გეგმა



1. როტაციული დამუცმაცებელი გ-1 წყარო
2. დამუცმაცებელი ე.წ წისქვილი გ-2 წყარო
3. თერმოპლასტ-ავტომატი გ-3 წყარო
4. თერმოპლასტ-ავტომატი გ-4 წყარო
5. x y კორდ ,, 0'' წერტილი
6. ნედლეულის საწყობი
7. ,, ჩიფსების'' საწყობი
8. მზა პროდუქციის საწყობი
9. პერსონალის კუთხე



ს.კ 03.05.04.122

ფართობი: 202კვ.მ




307700

307800

4680000

4679900



307700

307800

WGS 84 / UTM zone 38 N

1:1,000